სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/137

ქ. თბილისი 20 აგვისტო 2021 წ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-21 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 აგვისტოს №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

I. შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში" და ინსტრუქციის პირველი მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტის მიერ დასრულებულად (ათვისებულად) ითვლება, თუ იგი პირველი მუხლის მე-2 პუნქტში და, საჭიროების შემთხვევაში, მე-10 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ ვადებში:

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე დააგროვებს არანაკლებ 240 კრედიტს;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დააგროვებს არანაკლებ 120 კრედიტს (მოიცავს საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვას);
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დააგროვებს პროგრამის სასწავლო კომპონენტით განსაზღვრულ კრედიტებს (არაუმეტეს 60 კრედიტისა), აგრეთვე შეასრულებს და დაიცავს სადისერტაციო ნაშრომს (დისერტაციას)."

II. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**